მშრომელთაო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 31 მარტი, 1944 წ. № 66 (7010). ფასი 20 კაპ.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
საბჭოთა კავშირის მარშალ ჟუკოვს

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, სატანკო შენაერთებისა და ქვეითი ჯარის მარჯვე მანევრის შედეგად, დაიკავეს ქალაქი და რკინიგზების დიდი კვანძი **კოლომია** — გერმანელთა თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი **კარპატების** მთისძირებში.

ქალაქ **კოლომიის** დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **კატუკოვის**, გენერალ-მაიორ **ზამირცევის** ჯარებმა, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **დრემოვის**, პოლკოვნიკ **გორელოვის**, კაპიტან **ბოჩკოვსკის** ტანკისტებმა და პოლკოვნიკ **ხარჩევინის** მესანგრეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად ის შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე უფრო გამოიჩინეს თავი ქალაქ **კოლომიის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „**კოლომიის**" სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 29 მარტს, 21 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით ასოცდაოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს უკრაინის 1-ლი ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი **კოლომია**.

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ყველა ჯარს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ქალაქ **კოლომიის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 29 მარტი.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
საბჭოთა კავშირის მარშალ ჟუკოვს

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, რომელნიც შეტევას ანვითარებდნენ, გადალახეს მდინარე **პრუტი** და იერიშით დაიკავეს უკრაინის საოლქო ქალაქი — **ჩერნოვიცი** — ჩრდილოეთ ბუკოვინის დიდმნიშვნელოვანი სამეურნეო-პოლიტიკური ცენტრი და გერმანელთა თავდაცვის მძლავრი დასაყრდენი პუნქტი მდინარე **პრუტზე**, რომელიც იცავს უნგრეთისა და რუმინეთის საზღვრებს.

ქალაქ **ჩერნოვიცის** დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს **სატანკო** ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **კატუკოვის**, გენერალ-მაიორ **ზამირცევის**, გენერალ-მაიორ **პროხოროვის** ჯარებმა, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **გეტმანის**, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **დრემოვის**, პოლკოვნიკ **მორგუნოვის**, პოდპოლკოვნიკ **კოშელევის**, პოდპოლკოვნიკ **გუსაკოვსკის**, პოდპოლკოვნიკ **ბოიკოს**, პოდპოლკოვნიკ **კოჩურას** ტანკისტებმა, პოლკოვნიკ **ვიშნევსკის**, პოლკოვნიკ **კამენსკის** არტილერისტებმა, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ **ბლაგოსლავოვის**, პოლკოვნიკ **ხარჩევინის** მესანგრეებმა და. ავიაციის გენერალ-მაიორ **ლაკეევის**, პოლკოვნიკ **ნეჩიპორენკოს**, პოლკოვნიკ **ფედულიევის** მფრინავებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად ის შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე უფრო გამოიჩინეს თავი ქალაქ **ჩერნოვიცის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „**ჩერნოვიცის**" სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 30 მარტს, 20 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით ორასოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს უკრაინის 1-ლი ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი **ჩერნოვიცი**.

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ყველა ჯარს, რომელნიც მონაწილეობდნენ ქალაქ **ჩერნოვიცის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომელნიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 30 მარტი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
29 მარტის ოპერაციული ცნობიდან

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, სატანკო შენაერთებისა და ქვეითი ჯარის მარჯვე მანევრის შედეგად, დაიკავეს ქალაქი და რკინიგზების დიდი კვანძი **კოლომია** — გერმანელთა თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი **კარპატების** მთისძირებში. ქალაქ **კოლომიისათვის** ბრძოლებში, წინასწარი ცნობებით, ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს შემდეგი დავლა: 18 ვარგისი ტანკი „ვეფხვის" ტიპისა, 15 ხარკინიგზო ეშელონი სამხედრო ტვირთითა-ნად, 45 ორთქლმავალი, 10 სხვადასხვა საწყობი, 450 ავტომანქანა და დიდძალი სხვა სამხედრო ქონება.

29 მარტის განმავლობაში **უკრაინის** 1-ლი ფრონტის ჯარები შეტევას განაგრძობდნენ და დაიკავეს კამენეც-პოდოლსკის ოლქის რაიონული ცენტრები **სოლობკოვცი**, **სტარაია უშიცა**. ფრონტის ჯარებმა გადალახეს მდინარე **პრუტი**, მიადგნენ ქალაქ **ჩერნოვიცს** და გააჩაღეს ბრძოლები მის განპირა უბნებში.

ქალაქ **მოგილიოვ-პოდოლსკის** დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ და დაიკავეს დასახლებული პუნქტები **კოზოვკა**, **პერკოვცი**, **ლიპინცი**, **მიხაილოვკა**, **ტალბურინი**, **გალკოვცი**, **ლარგა**, **გელიავინცი**, **ზირუკვცი**, **პერშარიტა**.

ქალაქ **გელიცის** სამხრეთით და აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს მოლდავეთის სს რესპუბლიკის რაიონული ცენტრები **კიშკარენი**, **სინზელეი**, **კოტიუჟანი**, აგრეთვე 30-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი.

ქალაქ **პერეოზერნოისკის** სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ და დაიკავეს ოდესის ოლქის რაიონული ცენტრები ქალაქი **ბალტა**, **ანტონოვკა**, **ბოლშაია ვრადიევკა**, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 40-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **ლიუბომირკა**, **პოსიცელი** 1-ლი და **ფსკ-2**, **ანტონოვკა**, **მიხაილოვკა**, **ივანოვკა**, **სიროტინო**, **ალექსანდროვკა**, **მარინოვკა** და რკინიგზის სადგურები **კირილოვკა**, **ბოლშაია ვრადიევკა**, **ბიროვო**, **ზაპალაზი**, **ჩიხაჩევო**, **ანტონოვკა**, **პეტროპავლოვკა**, **ბალტა**.

ქალაქ **ვოზნესენსკის** დასავლეთით, სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები წარმატებით ანვითარებდნენ შეტევას და ბრძოლებით დაიკავეს 80-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **ცარევოდაროვკა**, **კოკოვინი**, **ნოვოსელოვკა**, **ალექსანდროვკა**, **ვლადიმიროვკა**, **ლიდიევკა**, **მოლდავკა**, **სტარაია კანტაკუზენკა**, **დმიტრიევკა**, **ნოვოე ვოსკრესენსკოე**, **პოკროვსკოე**, **კატერინენტალი**, **კარლსრუე**, **კოვალიოვკა**, **ტერნოვატაია** და რკინიგზის სადგურები **იასტრებინოვკა**, **მოლდავკა**.

ფრონტის სხვა უბნებზე ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

28 მარტის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დაუზიანეს და მოხპეს გერმანელთა 35 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 38 თვითმფრინავი.

* * *

30 მარტის ოპერაციული ცნობა

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას ანვითარებდნენ, გადალახეს მდინარე **პრუტი** და იერიშით დაიკავეს უკრაინის საოლქო ქალაქი — **ჩერნოვიცი** — ჩრდილოეთ ბუკოვინის დიდმნიშვნელოვანი სამეურნეო-პოლიტიკური ცენტრი და მდინარე **პრუტზე** გერმანელთა თავდაცვის მძლავრი დასაყრდენი პუნქტი, რომელიც იცავს უნგრეთისა და რუმინეთის საზღვრებს მისადგომებს. ქალაქ **ჩერნოვიცისათვის** ბრძოლებში თავი გამოიჩინეს პოლკოვნიკ **მორგუნოვის**, პოდპოლკოვნიკ **კოშელევის**, პოდპოლკოვნიკ **გუსაკოვსკის**, პოდპოლკოვნიკ **ბოიკოს**, პოდპოლკოვნიკ **კოჩურას**, პოლკოვნიკ **ანტონოვკის**, პოლკოვნიკ **ვიშნევსკის**, პოლკოვნიკ **კამენსკის**, პოლკოვნიკ **ნეჩიპორენკოს**, პოლკოვნიკ **ფედულიევის**, პოდპოლკოვნიკ **ბოგდარენკოს**, პოდპოლკოვნიკ **ხარჩევინის**, პოლკოვნიკ **ბოიკოს**, პოლკოვნიკ **ანტონოვკის**, პოდპოლკოვნიკ **პოკროვსკის**, **ტიმოფეევის**, **ბელოვის**, **ბოლშაკოვის**, **ბოლდინის**, **ბოლშაკოვის**, **ბოლშაკოვის**, **ბოლშაკოვ

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

30 მარტის ოპერაციული ცნობა

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. I გვ.)

60-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ლიპეცკოე, ტოჩილოვო, ნოვო-ბეოლრეზიევკა, პეტროვკა, ბოკოვო, სოფიევკა, იანოვკა, მარიანოვკა ლიახოვა, გულიანიცკოე, ტარასოვკა, ნოვო-პავლოვკა. ჩვენმა ჯარებმა მთლიანად გაწმინდეს მოწინააღმდეგისაგან **კირვომაისკ-სლობოდა-რიბნიცა-ბელიცის** რკინიგზა.

ქალაქ ვოზნესენსკის დასავლეთით და სამხრეთით ჩვენი ჯარები სწრაფად ჩრდილოეთ-დასავლეთით **ბერეზნეგატოე** და **ოლადინოვკა** — **ბერეზნეგატოე** 7 ინ. **ოლადინოვკა** 3 ინ.